# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 205

„23“ ივლისი 2019 წ

ქ. თბილისი

**სს „თიბისი ბანკისთვის“ (ს/კ:204854595) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე.“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2018 წლის 15 ოქტომბრის ბ61.01182883 ბრძანებაში ცვლილების შეტანის საკითხზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 19 ივნისის N19.679.888 განკარგულების შესაბამისად, „სს „თიბისი ბანკისთვის“ (ს/კ:204854595) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2018 წლის 15 ოქტომბრის ბ61.01182883 ბრძანებით განსაზღვრული იჯარის მოქმედების ვადის 2020 წლის 20 ივნისამდე განსაზღვრის თაობაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე